ა(ა)იპ „ქ. ბათუმის საჩოგბურთო კომპლექსი“
ს/ნ: 445415355

„შშმ პირთათვის გარემოს ხელმისაწვდომობის შესწავლა“

1. უპირველეს პრობლემად, რაც უკავშირდება შშმ პირთათვის გარემოს ხელმისაწვდომობას, მიგვაჩნია გაადაადგილების პრობლემა, რაც გამოიხატება მთელ რიგ დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ ლოკაციებზე შესაბამისი პანდუსების არარსებობით, რაც ეხება არამხოლოდ საჯარო, არამედ კერძო დაწესებულებებსაც.

2. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მეტწილად საჯარო დაწესებულებები მორგებულია შშმ პირთა საჭიროებებზე, თუმცა არსებული გარემოს აღნიშნული კუთხით კიდევ უფრო განვითარება და სრულყოფა მაინც რჩება დღევანდელობის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ გამოწვევად. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომლის კორპუსის ფასადზეც განთავსებულია ლიფტი, რომელიც განკუთვნილია შშმ პირთა გადაადგილებისთვის.

5. ამ კუთხით საერთო სურათის შეფასება ალბათ გაგვიჭირდება, თუმცა შეგვიძლია მოგახსენოთ ჩვენს ორგანიზაციაში დაგეგმილი სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების მაგალითზე. პროექტი, რომლითაც ხორციელდება ა(ა)იპ „ქ. ბათუმის საჩოგბურთო კომპლექსი“-ის რეაბილიტაცია-რეკოსტრუქცია, ითვალისწინებს შენობის შესასვლელში შესაბამისი პანდუსის განთავსებას, ასევე სასტუმროს კორპუსის პირველ სართულზე იარსებებს ნომერი შშმ პირთათვის და შენობა სრულად იქნება ამ მხრივ ადაპტირებული.